ახალი უმაღლესი სასწავლებელი
ნიუუნი

NEW HIGHER EDUCATION INSTITUTE
NEWUNI

ფაკულტეტის დებულება

ახალი უმაღლესი სასწავლებელი – „ნიუუნი“

შინაარსი:

მუხლი 1. ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სტატუსი.....2

მუხლი 2. ფაკულტეტის ძირითადი მიზნები 2

მუხლი 3. ფაკულტეტის ამოცანები 2

მუხლი 4. ფაკულტეტის მართვის ორგანოები.....3

მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭო.....3

მუხლი 6. ფაკულტეტის საბჭოს მდივანი.....3

მუხლი 7. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა.....4

მუხლი 8. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერება.....4

მუხლი 9. სხდომების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი.....4

მუხლი 10. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი.....5

მუხლი 11. ფაკულტეტის დეკანი 5

მუხლი 12. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტა.....5

მუხლი 13. ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.....6

მუხლი 14. ტუტორი 6

მუხლი 15. ბაკალავრიატი.....6

მუხლი 16. პროგრამის ხელმძღვანელი.....6

მუხლი 17. სტუდენტთა პირადი საქმეები.....7

მუხლი 18. ფაკულტეტის დებულების შემუშავება და ძალაში შესვლა.....7

მუხლი 1. ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სტატუსი

1.1. ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის (შემდგომში "სასწავლებელი") ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი (შემდგომში: "ფაკულტეტი") არის სასწავლებლის საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას;

1.2. ფაკულტეტი ანგარიშვალდებულია სასწავლებლის რექტორისა და აკადემიური საბჭოს წინაშე;

1.3. ფაკულტეტი მოქმედებს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სასწავლებლის შიდა რეგულეციებისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე;

მუხლი 2. ფაკულტეტის ძირითადი მიზნები

2.1. ფაკულტეტის ძირითადი მიზნებია:

- სტუდენტებისა და ფაკულტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის სათანადო პირობების შექმნა სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევებისათვის; ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, სასწავლო და სამეცნიერო მუშაობისათვის პირობების გაუმჯობესებაზე მუდმივად ზრუნვა;
- სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი განათლების, უნარ–ჩვევების, მაღალზნეობრივი და მოქალაქეობრივი თვითშეგნების ღირებულებების მქონე კადრების მომზადება;
- პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების მაქსიმალურად დაკმაყოფილება;
- პიროვნების ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება შრომის ბაზრისათვის;
- სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ სასწავლებელის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით ახალი, მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-აკადემიური/მოწვეული პერსონალის მოზიდვა;
- სასწავლებელის სტუდენტთა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის მობილობის ხელშეწყობა და სხვა.

მუხლი 3. ფაკულტეტის ამოცანები

3.1. ფაკულტეტის ამოცანებია:

ა) ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება;

ბ) განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციაზე ხელშეწყობა და მობილობის გაფართოება;

გ) სტუდენტებში შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება და სხვა.

მუხლი 4. ფაკულტეტის მართვის ორგანოები

4.1. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია ფაკულტეტის საბჭო და დეკანი;

4.2. საჭიროების შემთხვევაში, დეკანს შეიძლება ჰყავდეს მოადგილე.

მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭო

5.1. სასწავლებელის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭო (შემდგომში: "ფაკულტეტის საბჭო") სასწავლებლის ერთ–ერთი ძირითადი საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეულის, ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა;

5.2. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტთა წარმომადგენლები, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეობს ფაკულტეტის დეკანი;

5.3. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წევრად ითვლება სასწავლებელის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული პირი;

5.4. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

5.5. ფაკულტეტის საბჭო:

ა) განსაზღვრავს ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის საქმიანობის ძირითად მიზნებს, მიმდინარე ამოცანებსა და საქმიანობის პრიორიტეტებს;

ბ) შეიმუშავებს წინადადებებს ფაკულტეტის აუცილებელ ხარჯებთან დაკავშირებით და წარუდგენს სასწავლებელის რექტორს;

გ) შეიმუშავებს და წარუდგენს სასწავლებლის აკადემიურ საბჭოს საგანმანათლებლო პროგრამებს;

დ) შეიმუშავებს ფაკულტეტის დებულებას და წარუდგენს სასწავლებლის აკადემიურ საბჭოს;

ე) ღია კენჭიყრით ირჩევს ფაკულტეტის საბჭოს მდივანს;

ვ) ისმენს დეკანის ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ;

ზ) პროგრამის დასრულების შემდგომ, ანიჭებს შესაბამის კვალიფიკაციას;

თ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 6. ფაკულტეტის საბჭოს მდივანი

6.1 ფაკულტეტის საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას და საქმის წარმოებას ახორციელებს ფაკულტეტის საბჭოს მდივანი, რომელიც აირჩევა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან, დეკანის წარდგინებით, ღია კენჭისყრით, ფაკულტეტის საბჭოს პირველ სხდომაზე.

6.2. ფაკულტეტის საბჭოს მდივანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტის საბჭოს სახელზე შემოსული წერილებისა და დოკუმენტების აღრიცხვა-შენახვას;

ბ) ამზადებს წერილებისა და საბჭოზე განსახილველი საკითხების პროექტებს;

გ) ამზადებს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

დ) უზრუნველყოფს დოკუმენტების საჯაროობას ან დაინტერესებულ პირთათვის გაცნობას;

ე) ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 7. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

7.1. ფაკულტეტის საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუწყდება:

ა) სასწავლებლის აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლების ან სტუდენტს – სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას;

ბ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ ან გარდაცვლილად ცნობის შემთხვევაში;

გ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში.

7.2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს წევრი ხდება ის სტუდენტი, რომელმაც არჩევნებში უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სტუდენტური თვითმართველობა აირჩევს ახალ წარმომადგენელს არაუგვიანეს ერთი თვისა უფლებამოსილების შეწყვეტიდან.

მუხლი 8. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერება

8.1. ფაკულტეტის საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუჩერდება:

ა) ერთ თვეზე მეტი ხნით ავადმყოფობის ან შვებულებაში გასვლის შემთხვევაში, თუ მოკლებულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას;

ბ) ერთ თვეზე მეტი ხნით სასწავლო ან სამეცნიერო მივლინებაში ყოფნისას ან სხვა გარემოების არსებობისას, რაც შეუძლებელს ხდის მის მონაწილეობას საბჭოს სხდომებში.

8.2. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 9. სხდომების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

9.1. ფაკულტეტის საბჭოს პირველი სხდომა იმართება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ახალი შემადგენლობის და სტუდენტური წარმომადგენლების არჩევის შემდეგ;

9.2. ფაკულტეტის საბჭო პირველ სხდომაზე ცნობს თავის უფლებამოსილებას და აირჩევს მდივანს;

9.3. ფაკულტეტის საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ სემესტრში ერთხელ;

9.4. ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს ფაკულტეტის დეკანი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – დეკანის მოადგილე;

9.5. ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს ესწრებიან ფაკულტეტის საბჭოს წევრები. ფაკულტეტის დამხმარე პერსონალს უფლება აქვს დაესწროს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით. სხვა დაინტერესებულ პირთა მხრიდან ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დასწრების სურვილის შემთხვევაში, მათი დაშვების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო;

9.6. ფაკულტეტის საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასში მონაწილეობს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა;

9.7. თუ წინამდებარე დებულებით სხვა წესი არ არის დადგენილი, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით;

9.8. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში, ამ მუხლის მე-9.6 და მე-9.7 პუნქტებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა იანგარიშება ფაკულტეტის საბჭოს სიითი შემადგენლობიდან უფლებამოსილებაშეჩერებულ წევრთაA რიცხვის გამოკლებით.

მუხლი 10. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი

10.1 ფაკულტეტის საბჭოს წევრთა შეკრებისა და სხდომის ჩატარების, აგრეთვე, გადაწყვეტილების მიღების ფაქტზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ფაკულტეტის დეკანი (მისი არყოფნის შემთხვევაში - მოადგილე) და მდივანი;

10.2 ფაკულტეტის საბჭოს სხდომების ოქმები ინახება ფაკულტეტის დეკანის მიერ არანაკლებ 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც გადაეცემა სასწავლებლის არქივს.

მუხლი 11. ფაკულტეტის დეკანი

11.1. სასწავლებლის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ადმინისტრაციული ხელმძღვანელია დეკანი (შემდგომში: “ფაკულტეტის დეკანი”), რომელიც თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს და წარმართავს ფაკულტეტის მიმდინარე საქმიანობას;

11.2. ფაკულტეტის დეკანს, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო 4 (ოთხი) წლის ვადით;

11.3. ფაკულტეტის დეკანი:

ა) მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, დამოუკიდებლად განსაზღვრავს ფაკულტეტის მიმდინარე საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

ბ) წარმოადგენს ფაკულტეტის საბჭოს სასწავლებელის შიგნით და გარეთ;

გ) კოორდინაციას უწევს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

დ) შეიმუშავებს რეკომენდაციებს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია აკადემიური საბჭოს, სასწავლებელის რექტორის წინაშე, აგრეთვე, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებაზე;

ვ) მეთვალყურეობს და ზედამხედველობს ფაკულტეტზე დასაქმებულთა მიერ უფლებამოსილებების განხორციელებას, ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულებას;

ზ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 12. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტა

12.1. ფაკულტეტის დეკანს უფლებამოსილება შეუწყდება:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) უფლებამოსილების 3 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში;

გ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ ან გარდაცვლილად ცნობის შემთხევაში.

12.2. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად

შესრულების და/ან დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მიმართოს რექტორს დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე.

მუხლი 13. ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

13.1. ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, საჭიროების შემთხვევაში, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სასწავლებლის რექტორი, ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით;

13.2. დეკანის მოადგილე მოქმედებს დეკანის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;

13.3. მოადგილე, დეკანის არყოფნის შემთხვევაში, უძღვება ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს და სარგებლობს საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებებით.

მუხლი 14. ტუტორი

14.1 ტუტორი არის ფაკულტეტის მიერ შერჩეული პირი, რომელიც სტუდენტებს უწევს კონსულტაციებს.

14.2 ტუტორების ძირითადი მიზანია სტუდენტების აქტიური ჩაბმა საგანმანათლებლო პროცესებში.

14.3 ტუტორებად შეირჩევა ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები, კურსდამთავრებული სტუდენტები ან/და პერსონალი, რომელთაც აქვთ სასწავლო პროცესის შესაბამისი ცოდნა და შეძლებენ სრულყოფილი დახმარება გაუწიონ სტუდენტებს.

14.4 ტუტორი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანის წინაშე.

მუხლი 15. ბაკალავრიატი

15.1. ბაკალავრიატი არის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის. ბაკალავრიატში სწავლის მიზანია, ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიულ მომზადებასთან ერთად, სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება;

15.2. ბაკალავრიატში სწავლა მიმდინარეობს სასწავლებელის აკადემიური საბჭოს მიერ განხილული და რექტორის მიერ დამტკიცებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და მთავრდება ბაკალავრის კვალიფიკაციის მინიჭებით.

მუხლი 16. პროგრამის ხელმძღვანელი

16.1. პროგრამის ხელმძღვანელი:

- უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან; პროგრამით გათვალისწინებული საგნების შესაბამისობას პროგრამის დარგობრივი სტანდარტის შინაარსსა და მიზნებთან; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და პროგრამის ურთიერთშესაბამისობას;
- იძლევა რეკომენდაციებს პროგრამის განსახორციელებლად პერსონალზე აკადემიური დატვირთვის განაწილების შესახებ, ასევე საჭიროების შემთხვევაში შუამდგომლობს ფაკულტეტის სათანადო ორგანოების წინაშე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის სხვა სტრუქტურული ერთეულიდან ან მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებით;

 ატარებს პროგრამის განხორციელების სისტემატურ მონიტორინგსა და ანალიზს;
 აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, დარგის სპეციალისტებთან, პროფესიულ ასოციაციებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან, შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად პროგრამის განახლების მიზნით;
 ჩართულია მობილობის წესით (შიდა და გარე) ჩარიცხული სტუდენტების კრედიტების აღიარების პროცესში;

15.2. პროგრამის შედგენასა და მის განხორციელებაში მონაწილე პირები ექვემდებარებიან პროგრამის ხელმძღვანელს;

15.3. პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს სათანადო კომპეტენციის მქონე აკადემიურ პერსონალს.

მუხლი 17. სტუდენტთა პირადი საქმეები

17.1. სტუდენტის პირად საქმეში უნდა ინახებოდეს:

- სკოლის ატესტატის დედანი ან ნოტარიულად დადასტურებული ასლი;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ორი ფოტოსურათი ზომით 3X4;
- ვაჟების შემთხვევაში სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- დაბადების მოწმობის ასლი;
- სასწავლებელსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- სტუდენტის პირადი ბარათი.

მუხლი 18. ფაკულტეტის დებულების შემუშავება და ძალაში შესვლა

18.1. აღნიშნული დებულების შემუშავება ხდება ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს მიერ, რომელსაც განიხილავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს სასწავლებლის რექტორი;

18.2. ფაკულტეტის დებულება ძალაში შედის სასწავლებლის რექტორის მიერ დამტკიცებისთანავე;

18.3. ფაკულტეტის წინამდებარე დებულებაში ცვლილება-დამატებების შეტანა ხდება ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, რომელიც მტკიცდება რექტორის ბრძანებით.